ბანთიადი

V კლასი 2022 წელი

სახელი, გვარი , ტელეფონი _____

სკოლა _____

ქართულის მასწავლებელი _____

დავალება, რომელიც ფასდება 2 ქულით

1. რომელია სწორი ფორმა?

ა) გულამოვარდნილი ბ) დედაშვილი გ) სახლკარი დ)ხელპირი

დავალება, რომელიც ფასდება 3 ქულით

2. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული არსებითი სახელი?

ერთ დროს აქ მდგარი სახლი, სახლად აღარ ვარგოდა

ა) სახელობითი ბ) მოთხრობითი გ) ნათესაობითი დ) ვითარებითი

დავალება,რომელიც ფასდება 5 ქულით

3. შეარჩიე მოცემული სიტყვის „ბნელი“ ანტონიმი

ა) ბინდი ბ) უკუნი გ) ნათელი დ) წყვდიადი

4. შეარჩიე მოცემული სიტყვის „პაპანაქება“ სინონიმი

ა) მზიანი ბ) თაკარა გ) კაშკაშა დ) ნათელი

დავალებები, რომლებიც ფასდება 7 ქულით

5. რას ნიშნავს სიტყვათა შეთანხმება „თვალები დააწყდა“

ა) დარდს ბ) შიშს გ) მოლოდინს დ) შურს

6. რას ნიშნავს სიტყვათა შეთანხმება „ხელი შეუწყო“

ა) გართობას ბ) დახმარებას გ) მოწონებას დ) გაბრაზებას

7. **რამდენი ზედსართავი სახელია მოცემულ ტექსტში?**

„მწვანე ველში ამოხეთქა
წყარომ ცივმა თავანკარამ“

ა)ორი ბ) სამი გ) ოთხი დ) ერთი

დავალებები, რომელიც ფასდება 8 ქულით
ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს

წყარო და ავი კაცი

მწვანე ველში ამოხეთქა
წყარომ ცივმა, თავანკარამ,
მივიდა და ავმა კაცმა
ქვა და ღოღი დააყარა.
მერე რა ხერხს არ მიმართა,
წყარო მაინც ვერ ჩაქოლა,
სხვის ყანაში ამოვიდა,
ქვა მის მინდორს შერჩა გორად.

კარგმა კაცმა წყაროს თვალი
ქვის გუგაში მოათავსა, -
და მადლობით იხსენებდა
ბაღჩა-ბაღის მომნათლავსა.

ავი კაცი დრომ წაიღო,
უკვდავების წყარო დარჩა,
ყვავილები გაახარა,
ველ-მინდვრები წამოფარჩა.
იმ წყაროსთან გამვლელები
იჩოქებენ ქედსა ხრიან,
ემთხვევიან, მაცოცხლებელს
უკვდავებას ეძახიან.

წყარო სოფლის სიმდიდრეა,
წყაროს თვალი არის განძი...
ასე არის, კეთილ საქმეს
ვერ ჩაქოლავს ავი კაცი.

დავალებები რომელიც ფასდება 8 ქულით

8. **სად ამოხეთქა ცივმა წყარომ?**

ა)მწვანე ველზე ბ) ყანაში გ) ტყეში დ) ბაღჩაში

9. **რა სიკეთე მოიტანა წყარომ?**

ა) ყვავილები და ველ-მინდვრები გაახარა
ბ) გამვლელებს წყურვილის მოკვლაში დაეხმარა
გ) ყანას წყალი აპკურა და გაახარა
დ) სამივე

10. რით ჩაქოლა ავმა კაცმა წყარო?

ა) ცემენტით ბ) მიწით გ) ქვა-ღორღით დ) ქვიშით

დავალებები,რომლებიც ფასდება 10 ქულით

11. რას ნიშნავს წყაროს წინაშე „ქედს იხრიან“

ა) თავს ხრიან ბ) პატივისცემას გამოხატავენ

გ) უყვართ დ) თავს მაღლა სწევენ

12. რომელი სიტყვა გვხვდება ზღაპრებში მოცემული მონაკვეთიდან?

„ემთხვევიან მაცოცხლებელს
უკვდავებას ეძახიან“

ა) იყო და არა იყო რა ბ) მაცოცხლებელი

გ) უკვდავებას დ) ცხრა მთას იქით

13. რა არის ლექსის მთავარი სათქმელი?

ა) ავმა კაცმა გაიმარჯვა, წყარო დაშრა.

ბ) ავმა კაცმა წყარო დაანაგვიანა.

გ) ავი კაცი დრომ წაიღო, წყარო დარჩა.

დ) წყარო დაშრა, ავი კაცი დამარცხდა.

14. როგორ მოიქცა კაცი, რომელსაც წყარო მის ყანაში ამოუვიდა?

ა) მადლობას იხდიდა. ბ) წყარო არ სჭირდებოდა .

გ) დაღონებული იყო . დ) არც ერთი.